

Kallweit v. Germany

საჩივარი N17792/07

13.02.2011

„კალვეიტი გერმანიის წინააღმდეგ“ 2011 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) მიერ განხილული საქმეა, რომლის თანახმადაც გერმანიამ დაარღვია მომჩივნის ადამიანის უფლებები მისი პრევენციული პატიმრობის რეტროაქტიულად გაგრძელებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული განუსაზღვრელი დაკავება, კანონის საფუძველზე, რომელიც შეიცვალა მომჩივნის მსჯავრდების შემდეგ, იყო უკანონო და არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

ფაქტობრივი გარემოებები

მომჩივანი რიუდიგერ კალვეიტი 1993 წელს სექსუალური ხასიათის დანაშაულისთვის დამნაშავედ იქნა ცნობილი და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, ასევე მის მიმართ გამოიცა პრევენციული დაკავების შესახებ ბრძანება. დანაშაულის ჩადენის დროს გერმანიის კანონმდებლობით ამგვარი დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა 10 წელი იყო.

1998 წელს, ბ-ნი კალვეიტის მსჯავრდების შემდეგ, მაგრამ მისი პატიმრობის ვადის ამოწურვამდე, გერმანიამ შეცვალა კანონმდებლობა, რითაც დასაშვები გახდა განუსაზღვრელი ვადით პრევენციული დაკავება.

1996 წელს სასჯელის სრული ვადის მოხდის შემდეგ, ბ-ნი კალვეიტი გადაიყვანეს პრევენციულ დაკავებაში. 2007 წელს, როდესაც მან საჩივარი შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, მას უკვე 10 წელზე მეტი თავისუფლება აღკვეთილი.

სავარაუდო დარღვევები

ბ-ნი კალვეიტი დავობდა, რომ გერმანიამ მის მიმართ დაარღვია ადამიანი უფლებათა ევროპული კონვენციის 2 დებულება, კერძოდ, იგი აცხადებდა რომ:

მუხლი 5 § 1 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება): მისი მიმდინარე პატიმრობა არ იყო კანონიერი, რადგან ის აღემატებოდა დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედ პატიმრობის მაქსიმალურ ზღვარს.

მუხლი 7 § 1 (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე): 1998 წლის კანონის რეტროაქტიური გამოყენება მისი პატიმრობის ვადის გასაგრძელებლად უფრო მძიმე

სასჯელის ტოლფასი იყო, ვიდრე ის კანონი, რაც მისი დანაშაულის ჩადენის დროს იყო გამოყენებული.

ევროპული სასამართლოს შეფასება (რელევანტური ამონარიდები გადაწყვეტილებიდან)

შესაბამისი ზოგადი პრინციპების შეჯამება

მე-5 მუხლი

44. სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესახებ მის მიერ პრეცედენტულ სამართალში ჩამოყალიბებულ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც შეჯამებულია 2009 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე *M. v. Germany*, no. 19359/04, შემდეგნაირად:

“86. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (a)-დან (f) ქვეპუნქტებში მოცემულია თავისუფლების აღკვეთის დასაშვები საფუძვლების ამომწურავი სია და თავისუფლების აღკვეთა არ იქნება კანონიერი, თუ ის არ ექცევა ამ საფუძვლებიდან ერთ-ერთში (იხ., *inter alia*, *Guzzardi v. Italy*, 1980 წლის 6 ნოემბერი, § 96, სერია A no. 39; *Witold Litwa v. Poland*, no. 26629/95, § 49, ECHR 2000 III; და *Saadi v. the United Kingdom* [GC], no. 13229/03, § 43, ECHR 2008 ...).

87. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (a) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, სიტყვა „მსჯავრდება“, ფრანგული ტექსტის („condamnation“) გათვალისწინებით, უნდა გავიგოთ, როგორც ბრალეულობის დადგენა, მას შემდეგ რაც კანონის შესაბამისად დადგინდება დანაშაულის ჩადენა (იხ. *Guzzardi*, ციტირებული ზემოთ, § 100), ასევე თავისუფლების აღკვეთის შემცველი სასჯელის ან სხვა ზომის დაკისრება (იხ. *Van Droogenbroeck v. Belgium*, 24 ივნისი 1982, § 35, სერია A no. 50).

88. გარდა ამისა, (ა) ქვეპუნქტში სიტყვა „შემდეგ“ (*the lawful detention of a person after conviction by a competent court* - პირის კანონიერი დაკავება კომპეტენტური სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ) არ ნიშნავს უბრალოდ იმას, რომ „დაკავება“, დროის თვალსაზრისით, უნდა მოჰყვეს „მსჯავრდებას“. გარდა ამისა, „დაკავება“ უნდა წარმოიშვას, მოჰყვეს და დამოკიდებული იყოს „მსჯავრდებაზე“ ან მოხდეს მისი ძალით (იხ. *Van Droogenbroeck*, ციტირებული ზემოთ, §35). მოკლედ, საკმარისი მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს გამამტყუნებელ განაჩენსა და თავისუფლების აღკვეთას შორის (იხ. *Weeks v. the United Kingdom*, 2 მარტი 1987, § 42, სერია A no. 114; *Stafford v. the United Kingdom* [GC], no. 46295/99, § 64, ECHR 2002 IV; *Waite v. the United Kingdom*, no. 53236/99, § 65, 10 დეკემბერი 2002; და *Kafkaris v. Cyprus* [GC], no. 21906/04, § 117, ECHR 2008 ...).

89. გარდა ამისა, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (c) ქვეპუნქტის თანახმად, პირის დაკავება შეიძლება გამართლებული იყოს „როდესაც ეს გონივრულად აუცილებლად ითვლება მისი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად“. თუმცა, დაკავების აღნიშნული საფუძველი არ არის შესაფერისი ზოგადი პრევენციის პოლიტიკისთვის, რომელიც მიმართულია იმ პირის ან პირთა კატეგორიის წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ დანაშაულისადმი მათი მუდმივი მიდრეკილების გამო. მოცემული საფუძველი მხოლოდ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს კონკრეტული და სპეციფიკური დანაშაულის თავიდან აცილების საშუალებას აძლევს (იხ. Guzzardi, ციტირებული ზემოთ, § 102; შეადარეთ ასევე Eriksen, ციტირებული ზემოთ, § 86). ეს ჩანს იმითაც, რომ ლაპარაკია მხოლოდითი რიცხვში („დანაშაული“ და არა „დანაშაულები“) გამოყენებით, ასევე მე-5 მუხლის მიზნიდან, კერძოდ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ არავის არ ჩამოერთვას თავისუფლება თვითნებურად (იხ. Guzzardi, იქვე).“

45. სასამართლო ასევე იმეორებს, რომ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (e) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, პირს არ შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება ფსიქიკური აშლილობის“ გამო, თუ არ დაკმაყოფილდება შემდეგი სამი მინიმალური პირობა: პირველ რიგში, უნდა დადასტურდეს, რომ მას ფსიქიკური აშლილობა აქვს, ანუ კომპეტენტური ორგანოს წინაშე ობიექტური სამედიცინო ექსპერტიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს ფსიქიკური აშლილობის არსებობა; მეორეც, ფსიქიკური აშლილობა უნდა იყოს ისეთი სახის ან ხარისხის, რომ ამართლებდეს იძულებით თავისუფლების აღკვეთას; მესამე, თავისუფლების აღკვეთის გაგრძელების ვალიდურობა დამოკიდებულია ასეთი აშლილობის ხანგრძლივობაზე (იხ. Winterwerp v. the Netherlands, 24 ოქტომბერი 1979, § 39, სერია A no. 33; Varbanov v. Bulgaria, no. 31365/96, §§ 45 და 47, ECHR 2000 X; Hutchison Reid v. the United Kingdom, no. 50272/99, § 48, ECHR 2003 IV; და Shtukaturv v. Russia, no. 44009/05, § 114, 27 მარტი 2008).

46. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს გარკვეული კავშირი თავისუფლების აღკვეთის დასაშვებ საფუძველსა და დაკავების ადგილსა და პირობებს შორის. პრინციპში, ფსიქიკური ჯანმრთელობა დარღვეული პირის „დაკავება“ პირველი პუნქტის (e) ქვეპუნქტის მიზნებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება „კანონიერი“, თუ ის საავადმყოფოში, კლინიკაში ან სხვა შესაბამის დაწესებულებაში განხორციელდება (იხ. Ashingdane v. the United Kingdom, 28 მაისი 1985, § 44, სერია A no. 93; Aerts v. Belgium, 30 ივლისი 1998, § 46, ანგარიშები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1998 V; Hutchison Reid, ციტირებული ზემოთ, § 49; და Brand v. the Netherlands, no. 49902/99, § 62, 11 მაისი 2004).

წინამდებარე პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

47. სასამართლომ, ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, უნდა დაადგინოს, აღეკვეთა თუ არა მომჩივანს თავისუფლება პრევენციული პატიმრობის

დროს მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (a)-დან (f) ქვეპუნქტებიდან ერთ-ერთის შესაბამისად.

48. დაკავება გამართლებული იყო მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (a) ქვეპუნქტის თანახმად, თუ ის მოხდა „მსჯავრდების შემდეგ“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ არსებობდა საკმარისი მიზეზობრივი კავშირი მომჩივნის სისხლის სამართლის მსჯავრდებას შორის, რომელიც მას დაეკისრა ქ. ბოხუმის რეგიონალური სასამართლოს მიერ 1993 წლის განაჩენით (რომლის მიხედვითაც იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ძალადობისა და შეურაცხყოფისთვის და დაეკისრა პრევენციული დაკავება ციხეში თავისუფლების აღკვეთასთან ერთად ერთად), და პრევენციული დაკავებისას მისი თავისუფლების აღკვეთის გაგრძელებას შორის.

49. მომჩივნისგან განსხვავებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული სასამართლო რომელმაც სისხლის სამართლის კოდექსის 66-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გამოიტანა განაჩენი პრევენციული პატიმრობის შესახებ, არ არღვევს მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (a) ქვეპუნქტის მოთხოვნებს არც მისი პრევენციული ხასიათის გამო და არც იმ ფაქტის გამო, რომ განაჩენის გამომტანი სასამართლოს მიერ გამოტანილი პრევენციული დაკავების შესახებ განჩინების ფაქტობრივი აღსრულება ცალკე უნდა განესაზღვრათ სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელ სასამართლოებს. ამ მხრივ, ევროპული სასამართლო მიუთითებს 2009 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებაში მიღებულ დასკვნებზე საქმეში „M. v. Germany“ (მ. გერმანიის წინააღმდეგ) (ციტირებული ზემოთ). ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონი მ.-ს პრევენციული დაკავება, რომელიც, როგორც ამ შემთხვევაში, განაჩენის გამომტანი სასამართლოს მიერ იყო განკარგული სისხლის სამართლის კოდექსის 66-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოიცავდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (a) ქვეპუნქტს, რამდენადაც ის არ გაგრძელებულა კანონით დადგენილ მაქსიმალურ ვადაზე მეტი ხნით, რომელიც მოქმედებდა მომჩივნის დანაშაულისა და გამამტყუნებელი განაჩენის ჩადენის დროს. კერძოდ, მომჩივნის სისხლის სამართლის მსჯავრდებასა და მის პრევენციულ დაკავებას შორის მიზეზობრივი კავშირი არ დაირღვა იმის გამო, რომ სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელმა სასამართლომ, რომელმაც თავად არ გამოუტანა მომჩივანს „მსჯავრი“ (ახალი) დანაშაულის ჩადენის დამნაშავედ ცნობის არარსებობის გამო, იძულებული გახდა განეცხადებინა მომჩივნისთვის განაჩენის გამომტანი სასამართლოს მიერ დაკისრებული პრევენციული დაკავების აღსრულება (იხ. იქვე, §§ 95-96 და 97-105). ამ გადაწყვეტილებაში მოცემული მსჯელობისგან გადახვევის საჭიროებას სტრასბურგის სასამართლო ვერ ხედავს.

50. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ 1993 წელს მომჩივნის მსჯავრდების დროს, მისი პრევენციული დაკავების შესახებ ბრძანება სისხლის სამართლის კოდექსის 67 (d) მუხლის 1 პუნქტთან მიმართებით, იმ დროისთვის მოქმედ ვერსიაში (იხ. ზემოთ 30-ე პუნქტი), ნიშნავდა, რომ მომჩივანი, რომლის წინააღმდეგაც პირველად იქნა პრევენციული დაკავების შესახებ ბრძანება გამოცემული, პრევენციულ დაკავებაში შეიძლებოდა ყოფილიყო მაქსიმუმ ათი წლის განმავლობაში. ამგვარად, რომ არა სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის 1998 წლის ცვლილება, რომელიც ასევე გამოყენებული იქნა პრევენციული დაკავების შესახებ ბრძანებებში (მომჩივნის ჩათვლით) რომლებიც გამოიცა ამ შესწორებული დებულების ძალაში შესვლამდე (სისხლის სამართლის კოდექსის შესავალი აქტის 1ა მუხლის მე-3 პუნქტი; იხ. ზემოთ, პუნქტი 31), მომჩივანი გათავისუფლდებოდა პრევენციული დაკავების ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, კვლავ საშიშად ითვლებოდა თუ არა იგი საზოგადოებისთვის.

51. შესაბამისად, წინამდებარე საჩივარი, მოვლენათა დროითი მიმდინარეობის თვალსაზრისით, წარმოადგენს M. v. Germany-ის (ზემოთ ციტირებული) საქმის შემდგომი საქმეს და სტრასბურგის სასამართლო ვერ ხედავს საფუძველს, გადაუხვიოს ამ გადაწყვეტილებაში მოცემულ დასკვნებს. ამგვარად, სასამართლო მიიჩნევს, როგორც ეს გააკეთა საქმეში M. v. Germany (ციტირებული ზემოთ, §§ 92-101), რომ არ არსებობდა საკმარისი მიზეზობრივი კავშირი მომჩივნის გამამტყუნებელ განაჩენსა და მის თავისუფლების აღკვეთას შორის, რომელიც განსახილველ სამართალწარმოებაში განისაზღვრა, ათწლიანი პრევენციული დაკავების ვადის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, მისი 2006 წლის 26 მარტის შემდეგ პატიმრობის გაგრძელება არ იყო გამართლებული მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (a) ქვეპუნქტის საფუძველზე.

52. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მომჩივნის პრევენციული დაკავების ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ასევე არ იყო გამართლებული მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (c) ქვეპუნქტის თანახმად, რადგან დაკავება „გონივრულად მიიჩნეოდა აუცილებლად მისი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად“ (შეადარეთ, *mutatis mutandis*, M. v. Germany, ციტირებული ზემოთ, § 102).

53. სასამართლო დამატებით შეისწავლის, გამართლებული იყო თუ არა, მთავრობის მიერ წარდგენილი მტკიცების თანახმად, მომჩივნის დაკავება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (e) ქვეპუნქტის თანახმად, როგორც „ფსიქიკური აშლილობის მქონე“ პირის დაკავება. სასამართლოს კარგად ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლის თანახმად (იხ. ზემოთ 45-ე პუნქტი), ეს მოითხოვს, პირველ რიგში, რომ მომჩივნის ფსიქიკური აშლილობა საიმედოდ იყოს დადასტურებული; ანუ, კომპეტენტური ორგანოს წინაშე ობიექტური სამედიცინო ექსპერტიზის საფუძველზე დადგინდეს რეალური ფსიქიკური აშლილობა.

54. იმის დადგენისას, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელმა სასამართლოებმა მომჩივნის პრევენციული პატიმრობის გაგრძელების ბრძანება გასცეს განსახილველ სამართალწარმოებაში, რადგან ის იყო „ფსიქიკური აშლილობის მქონე“ პირი, სასამართლო, პირველ რიგში, შეისწავლის, დაადგინეს თუ არა ამ ეროვნულმა სასამართლოებმა, რომ მომჩივანს რეალურად ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა. მართალია, რომ შიდა სასამართლოებმა, ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური ექსპერტის დასკვნებზე დაყრდნობით, მიიჩნიეს, რომ მომჩივანი სერიოზული დისოციალური პიროვნული აშლილობით იტანჯებოდა და შესაბამისად, დანაშაულის ხელახალი ჩადენის რისკის ქვეშ იმყოფებოდა.

55. თუმცა, სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ ამით მათ მიერ “დადგინდა” “რეალური ფსიქიკური აშლილობა” კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (e) ქვეპუნქტის მიზნებისთვის. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ გერმანიის სამართლებრივ სისტემაში განსხვავებაა სახიფათო დამნაშავეთა ციხეში პრევენციული მიზნებით მოთავსებასა და საშიში ფსიქიურად დაავადებული პირების მოთავსებას შორის, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაულებრივი ქმედებები ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე ან შემცირებული პასუხისმგებლობით. ეს ილუსტრირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 66-ე და 63-ე მუხლებით (იხ. ზემოთ პუნქტები 26-27 და 32). ამრიგად, ცხადია, რომ ფსიქიკური დაავადების გამო საშიშად მიჩნეული პირები კომპეტენტური სასამართლოების მიერ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა მოთავსებულიყვნენ. მომჩივნის შემთხვევაში, ქ. ბოხუმის რეგიონულმა სასამართლომ განაჩენის გამოტანის შემდეგ უკვე მიიჩნია, რომ მომჩივნის დისოციალური პიროვნული აშლილობა არ იყო პათოლოგიური აშლილობა, რომელიც ამცირებდა მომჩივნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და შესაბამისად, არ გასცა მომჩივნის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების შესახებ ბრძანება. განსახილველ სამართალწარმოებაში, სასამართლოებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სასჯელების აღსრულებაზე, არც კი გაუციათ ბრძანება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მომჩივნის პრევენციული დაკავების აღსრულებასთან დაკავშირებით. მომჩივნის მიერ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაგრძელებულ დაკავებასთან დაკავშირებით საჩივარი ადრე უკვე არ დაკმაყოფილდა ეროვნული სასამართლოს მიერ.

56. გარდა ამისა, აღნიშნულ ადმინისტრაციულ (სასამართლო) განხილვებში ამ სასამართლოებს არ ევალებოდათ სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე შეემოწმებინათ, უნდა დაკავებულიყო თუ არა მომჩივანი, როგორც ფსიქიკური აშლილობის მქონე პირი. მათი ამოცანა იყო, სამედიცინო ექსპერტიზის დახმარებით განესაზღვრათ, ჰქონდა თუ მომჩივანს დანაშაულებრივი მიდრეკილებები, რომლებიც მას ხელახლა დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებდა - განურჩევლად იმისა, იყო თუ არა ეს მისი ფსიქიკური მდგომარეობის შედეგი.

57. გარდა ამისა, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, მომჩივნის, როგორც ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტის, დაკავება შეიძლება იყოს „კანონიერი“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (e) ქვეპუნქტის მიზნებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის განხორციელდება საავადმყოფოში, კლინიკაში ან სხვა შესაბამის დაწესებულებაში (იხ. ზემოთ 46-ე პუნქტი). მოცემულ საქმეში, მომჩივანს თავისუფლება აღეკვეთა ციხეში. როგორც ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა თავის ბოლო გადაწყვეტილებაში *M. v. Germany* (ციტირებული ზემოთ, გვ. 127-129), რომ პრაქტიკაში არ არსებობს არსებითი განსხვავება (ხანგრძლივი) გერმანიაში პატიმრობისა და პრევენციული დაკავების შესახებ ბრძანების აღსრულებას შორის. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ეს განსხვავებოდა წინამდებარე საქმეში მომჩივნის პრევენციული დაკავების აღსრულებისგან. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, სწორედ ფსიქიატრიული საავადმყოფოები ითვლება შესაბამის დაწესებულებებად, რათა უზრუნველყონ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული დაკავების პირობები. შესაბამისად, არ არსებობდა საკმარისი კავშირი მომჩივნის, როგორც სავარაუდო ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტის, დაკავებასა და ციხეში მის განთავსებასა და პატიმრობის პირობებს შორის.

58. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნის დაკავება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (e) ქვეპუნქტით არ იყო გათვალისწინებული. ასევე, სასამართლო მიიჩნევს - და ეს მხარეების მიერ უდავოა - რომ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის არცერთი სხვა ქვეპუნქტი არ შეიძლება იყოს მომჩივნის სადავო დაკავების გამართლება.

59. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას იმდენად, რამდენადაც მომჩივანი პრევენციულ დაკავებაში იმყოფებოდა 2006 წლის 27 მარტის შემდეგ.

სასამართლოს შეფასება

ა. შესაბამისი პრინციპების შეჯამება

მე-7 მუხლი

65. სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს კონვენციის მე-7 მუხლთან დაკავშირებით მის მიერ მიღებულ პრეცედენტულ სამართალში ჩამოყალიბებულ შესაბამის პრინციპებს, რომლებიც შეჯამებულია გადაწყვეტილებაში *M. v. Germany* (ციტირებული ზემოთ) შემდეგნაირად:

“118. მე-7 მუხლი, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს პრინციპს, რომ მხოლოდ კანონს შეუძლია განსაზღვროს დანაშაული და დაადგინოს სასჯელი (*nullum crimen, nulla poena sine lege*). მიუხედავად იმისა, რომ იგი კრძალავს სისხლის სამართლის კანონის უკუქცევით გამოყენებას ბრალდებულის საზიანოდ (იხ. *Kokkinakis v. Greece*, 1993 წლის 25 მაისი, § 52, სერია A no. 260 A) ან არსებული დანაშაულების ფარგლების გაფართოებას იმ ქმედებებზე, რომლებიც ადრე არ იყო სისხლის სამართლის დანაშაულები, იგი ასევე ადგენს პრინციპს, რომ სისხლის სამართლის კანონი არ უნდა იქნას ფართოდ განმარტებული ბრალდებულის საზიანოდ, მაგალითად, ანალოგიით (იხ. *Uttley v. the United Kingdom* (განჩინება), №36946/03, 2005 წლის 29 ნოემბერი, და *Achour v. France* [GC], №67335/01, § 41, ECHR 2006 IV). ...

120. მე-7 მუხლში „სასჯელის“ ცნება ავტონომიურია თავისი ფარგლებით. მე-7 მუხლით გათვალისწინებული დაცვის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, სასამართლო თავისუფალი უნდა იყოს, დაეყრდნოს გარეგნულ ფაქტორებს და თავად შეაფასოს, წარმოადგენს თუ არა კონკრეტული ღონისძიება არსებითად „სასჯელს“ ამ დებულების მნიშვნელობით (იხ. *Welch v. the United Kingdom*, 1995 წლის 9 თებერვალი, § 27, სერია A no. 307 A; *Jamil v. France*, 1995 წლის 8 ივნისი, § 30, სერია A no. 317 B; და *Uttley*, ციტირებული ზემოთ). მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების ფორმულირება მიუთითებს, რომ სასჯელის არსებობის ნებისმიერი შეფასებისას საწყისი წერტილია, იმის დადგენა, მისადაგება თუ არა აღნიშნული ღონისძიება „სისხლის სამართლის დანაშაულისთვის გამოტანილ“ განაჩენს. სხვა შესაბამისი ფაქტორებია ღონისძიების დახასიათება ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, მისი ბუნება და მიზანი, მისი მიღებისა და განხორციელების პროცედურები, ასევე მისი სიმკაცრე (იხ. *Welch*, ციტირებული ზემოთ, § 28; *Jamil*, ციტირებული ზემოთ, § 31; *Adamson v. the United Kingdom* (განაჩენი), no. 42293/98, 26 იანვარი 1999; *Van der Velden v. the Netherlands* (განაჩენი), no. 29514/05, ECHR 2006 XV; და *Kafkaris*, ციტირებული ზემოთ, § 142). თუმცა, ღონისძიების სიმძიმე თავისთავად გადამწყვეტი არ არის, რადგან, მაგალითად, პრევენციული ხასიათის ბევრ არაპენიტენციურ ზომას შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს შესაბამის პირზე (იხ. *Welch*, ციტირებული ზემოთ, § 32; შეადარეთ ასევე *Van der Velden*, ციტირებული ზემოთ).“

ბ. აღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

66. სასამართლოს მოეთხოვება, ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, დაადგინოს, არღვევს თუ არა მომჩივნის პრევენციული დაკავების ათ წელზე მეტი ვადით გახანგრძლივება მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე წინადადებით გათვალისწინებული რეტროსპექტული სასჯელების აკრძალვას.

67. სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც მომჩივანმა ჩაიდინა დანაშაული 1992 წელს, განაჩენის გამომტანი სასამართლოს მიერ პირველად გაცემული პრევენციული დაკავების შესახებ ბრძანება, სისხლის სამართლის კოდექსის 67d

მუხლის 1 პუნქტთან ერთად წაკითხული იმ დროისთვის მოქმედი ვერსიით (იხ. ზემოთ 30-ე პუნქტი), ნიშნავდა, რომ მომჩივანი პრევენციულ დაკავებაში შეიძლებოდა ყოფილიყო მაქსიმუმ ათი წლის განმავლობაში. სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის 1998 წელს შეტანილი შემდგომი ცვლილების საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსის შესავალი აქტის 1ა მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად (იხ. ზემოთ 31-ე პუნქტი), რომელმაც დაუყოვნებლივ გააუქმა მაქსიმალური ხანგრძლივობა, სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელმა სასამართლოებმა, ამ საქმეში, მომჩივნის პრევენციული პატიმრობის გაგრძელება ათწლიანი ვადის შემდეგაც კი განახორციელეს. ამგვარად, მომჩივნის პრევენციული დაკავება - ისევე როგორც საქმეში *M. v. Germany* - გაგრძელდა უკუქცევითი ეფექტით, მომჩივნის მიერ დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიღებული კანონის თანახმად.

68. სასამართლო ასევე მიუთითებს *M. v. Germany*-ის საქმეში (ციტირებული ზემოთ, გვ. 124-133) მიღებულ დასკვნაზე, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, პრევენციული დაკავება, განსაკუთრებით იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ ის სისხლის სამართლის სასამართლოების მიერ არის განსაზღვრული სისხლის სამართლის დანაშაულისთვის გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ და რომ ის გულისხმობს თავისუფლების აღკვეთას, რომელსაც 1998 წელს კანონში შეტანილი ცვლილების შემდეგ აღარ აქვს მაქსიმალური ხანგრძლივობა, უნდა კვალიფიცირდეს, როგორც „სასჯელი“ კონვენციის მე-7 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მეორე წინადადების მიზნებისთვის. იგი ვერ ხედავს ვერანაირ მიზეზს, რომ წინამდებარე საქმეში გადაუხვიოს აღნიშნულ დასკვნას.

69. ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლომ დაასკვნას, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.